პროექტი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№______

ქალაქი ქუთაისი ______ ________________________ წელი

„საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ გამოცხადებულ საგრანტე კონკურსზე წარსადგენი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურის განვითარების 2020 – 2022 წლების საპროექტო იდეების/წინადადებების მოწონების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 30 ივნისის № 395 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლის საფუძველზე:

**მუხლი 1**. შეტანილ იქნეს ცვლილება „საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო კომისიის მიერ გამოცხადებულ საგრანტე კონკურსზე წარსადგენი ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურის განვითარების 2020 – 2022 წლების საპროექტო იდეების/წინადადებების მოწონების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 30 ივნისის №395 განკარგულებაში, კერძოდ, განკარგულების დანართი შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

(დანართი განკარგულებას თან ერთვის)

**მუხლი 2.** განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა № 11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

**მუხლი 3.** განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი იოსებ ხახალეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2021 წლის ------------ №

განკარგულების დანართი

საქართველოს საპილოტე რეგიონების განვითარების სამთავრობო

კომისიის მიერ გამოცხადებულ საგრანტე კონკურსზე წარსადგენი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი

ინფრასტრუქტურის განვითარების 2020 – 2022 წლების

საპროექტო იდეები/წინადადებები

| № | იდეა/წინადადება | იდეის/წინადადების აღწერა |
|---|---|---|
| 1. | საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემების განვითარება ქუთაისში | საზოგადოებრივი ტრანსპორტის გაჩერებების აღჭურვა ელექტრონული საინფორმაციო ტაბლოებით |
| | | ჭავჭავაძის გამზირზე (მოსწავლე–ახალგაზრდობის პარკის მიმდებარედ) საავტომობილო მოძრაობის უსაფრთხოების მარეგულირებელი ინფრასტრუქტურის მშენებლობა |
| 2. | რეზო ჭეიშვილის ქუჩის საგზაო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება | რეზო ჭეიშვილის ქუჩის საგზაო ინფრასტრუქტურის რეკონსტრუქცია (გაფართოება) – რეაბილიტაცია |
| 3. | აღმაშენებლის გამზირზე რეკრეაციული ინფრასტრუქტურის მოწყობა | აღმაშენებლის გამზირზე, პალმების ხეივანში რეკრეაციული ინფრასტრუქტურისა და ველობილიკების მოწყობა |
| 4. | ახალი საინვესტიციო არეალის შექმნა | პროექტი მოიცავს პარლამენტის ყოფილი შენობის მიმდებარედ, აუთვისებელი ტერიტორიის გდგ-ს შექმნას და საბაზისო ინფრასტრუქტურის ფორმირებას. პირველ ეტაპზე საგზაო ინფრასტრუქტურას |
| 5. | მოსწავლე–ახალგაზრდობის სახლის მულტიფუნქციური ინფრასტრუქტურის შექმნა | მულტიფუნქციური ინფრასტრუქტურის შექმნა, რომელიც ერთ სივრცეში მოაქცევს კულტურულ–საგანმანათლებლო სკოლებს (სამუსიკო, სახელოვნებო და ა.შ.) |
| 6. | საპარკინგე სივრცეებისა და ელექტრო დამტენების ინფრასტრუქტურის განვითარება | პროექტი მოიცავს ქალაქის საპარკინგე სივრცეების აღჭურვას ვიდეო სამეთვალყურეო კამერებითა და სწრაფი ჩარიცხვის აპარატებით, ქალაქის ტერიტორიაზე სწრაფი ელექტრო სატენების ინსტალაციას |
| 7. | მცირეგაბარიტული ავტობუსების შეძენა | ქალაქის ისტორიული უბნებისათვის, სადაც არაეფექტიანია სტანდარტული შიდასაქალაქო ავტობუსების გადაადგილება, მცირეგაბარიტული ავტობუსების შეძენა, მუნიციპალური ტრანსპორტის ხელმისაწვდომობის განვითარებისათვის |
| 8. | ენერგოეფექტური ადმინისტრაციული შენობების მოწყობა | მერის წარმომადგენელთა ოფისების აღჭურვა მზის ენერგიის აპარატურით, ყოველდღიური ენერგო მოხმარების ეფექტიანობის გაუმჯობესების მიზნით |
| 9. | გაპონოვის ქუჩის ფასადების რეაბილიტაცია | ქუთაისის ისტორიული ნაწილის, გაპონოვის ქუჩის სახლებისათვის ისტორიული იერსახის დაბრუნების მიზნით, რესტავრაცია–რეაბილიტაციის პროექტის განხორციელება |
| 10. | აღმაშენებლის მოედანზე ცენტრალური შადრევნის რეაბილიტაცია | ცენტრალური შადრევნის რეაბილიტაცია |
| 11. | ოპერის თეატრის რეაბილიტაცია | ოპერის თეატრის სახურავის რეაბილიტაცია და სცენისა და დარბაზის აღჭურვა თანამედროვე სისტემებით (განათება, გახმოვანება, ინვენტარი) |
| 12. | ასსაფეხურიანი კიბის რეაბილიტაცია | ასსაფეხურიანი კიბის ისტორიული იერსახის აღდგენა |

| | | | |
|---|---|---|---|
| 13. | მდინარე რიონზე, ნიჩბოსნობის სკოლის ტერიტორიაზე, საწყალოსნო ინფრასტრუქტურის (ბაქნის, ინვენტარის შესანახი ინფრასტრუქტურისა და სხვა) მოწყობა | | ქალაქისათვის დამატებითი ტურისტული მიზიდულობის ადგილის შექმნა, საწყალოსნო სახეობებით ტურისტების დაინტერესება |
| 14. | რუსთაველის გამზირისა და ლაღიძის ქუჩების კვეთასთან სკვერის რეაბილიტაცია | | ობიექტი მდებარეობს ქალაქის ცენტრალურ ნაწილში, რუსთაველის გამზირზე, მჭიდროდ დასახლებულ უბანში. მიმდინარე მდგომარეობით სკვერი ამორტიზებულია და ვერ უზრუნველყოფს საკუთარი ფუნქცია–დანიშნულების შესრულებას. სკვერის რეაბილიტაციის მიმართ არსებობს მოსახლეობის დიდი ინტერესი, განსაკუთრებით პანდემიის ფონზე, როცა გარკვეულწილად შეზღუდულია შიდა ტურიზმიც |
| 15. | იმერეთის მეფეთა ყოფილი რეზიდენცია „ოქროს ჩარდახის" რეაბილიტაცია | | იმერეთის მეფეთა ყოფილი რეზიდენცია „ოქროს ჩარდახისა" და მიმდებარე ტერიტორიის ფუნქციური არეალის რეაბილიტაციის მიზნით, აღნიშნული ძეგლისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის რეაბილიტაცია. მათ შორის ხელნაკეთი ნივთების ბაზრობის ინფრასტრუქტურის მოწყობა |
| 16. | სოციალური საცხოვრისისათვის ინვენტარის შეძენა | | საყოფაცხოვრებო ავეჯისა და ინვენტარის შეძენა |
| 17. | ნიკეას ქუჩის მე-7 ჩიხის საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია | | პროექტი ითვალისწინებს საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობას ბიზნეს აქტივობებით დატვირთულ ლოკაციაზე |
| 18. | ქუთაისში, ჩეჩელაშვილის ქუჩის №24-ში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის რეაბილიტაცია | | ჩეჩელაშვილის ქუჩის №24-ში მდებარე შენობის რეაბილიტაცია. ობიექტი წარმოადგენს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლს. მიმდინარე მდგომარეობით ამორტიზებულია |
| 19. | მდინარე რიონზე, ბოტანიკურ ბაღსა და წმ.გიორგის ტაძარს შორის საფეხმავლო ხიდის მოწყობა | | საფეხმავლო ხიდის მოწყობა მდინარე რიონზე, ბოტანიკურ ბაღსა და წმ.გიორგის ტაძარს შორის |
| 20. | ირ.აბაშიძის გამზირზე კიკვიძის სკვერის რეაბილიტაცია | | სკვერისა და შადრევნის სრული რეაბილიტაცია |
| 21. | რუას ქუჩაზე ისტორიული აბანოების რეაბილიტაცია | | რუას ქუჩაზე ისტორიული აბანოების რეაბილიტაცია |
| 22. | მაჩაბლის ქუჩაზე ინფრასტრუქტურის მოწყობა, რომელიც ხელს უწყობს საგზაო უსაფრთხოებას | | საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა (გზა, ტროტუარები, სანიაღვრე) |
| 23. | სააკაძის ქუჩაზე ინფრასტრუქტურის მოწყობა, რომელიც ხელს უწყობს საგზაო უსაფრთხოებას | | საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა (გზა, ტროტუარები, სანიაღვრე) |
| 24. | კუპრაძის ქუჩაზე ინფრასტრუქტურის მოწყობა, რომელიც ხელს უწყობს საგზაო უსაფრთხოებას | | საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა (გზა, ტროტუარები, სანიაღვრე) |
| 25. | ლესელიძის ქუჩაზე ჯომარდობის ხელშეწყობის მიზნით სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობა | | ქალაქისათვის დამატებითი ტურისტული მიზიდულობის ადგილის შექმნა |
| 26. | კლდეზე ცოცვის სპორტული ინფრასტრუქტურისა და „ექსტრიმ" პარკის მოწყობა | | რეკრეაციული ინფრასტრუქტურის განვითარება, ქალაქისათვის დამატებითი ტურისტული მიზიდულობის ადგილის შექმნა |
| 27. | მოსწავლე-ახალგაზრდობის პარკის რეაბილიტაცია | | რეკრეაციული ინფრასტრუქტურის განვითარება, |
| 28, | შევჩენკოს ქუჩის საგზაო რეაბილიტაცია | | ყოფილი ინდუსტრიული ზონის რევიტალიზაცია |

| | | |
|---|---|---|
| 29, | კოპიტნარის აეროპორტიდან ქუთაისის მიმართულებით საავტომობილო მაგისტრალის მიმდებარე ნაგებობების იერსახის მოწესრიგება | ქალაქის ტურისტული პოტენციალის განვითარება |
| 30, | ქალაქ ქუთაისის ცენტრალურ მოედანზე მდებარე მუზეუმის შენობის ნაცვლად ტერასული რეკრეაციული ინფრასტრუქტურის მოწყობა | ქალაქის ტურისტული პოტენციალის განვითარება |
| 31, | გ. ტაბიძის ქუჩის ფასადების რეაბილიტაცია | ქალაქის ტურისტული პოტენციალის განვითარება |
| 32, | ზაქარია ფალიაშვილის მუზეუმის კონსერვაცია-რეაბილიტაცია | კულტურული მემკვიდრეობის მხარდაჭერა და შენარჩუნება |
| 33, | ტიპიური საზოგადოებრივი საპირფარეშოების მოწყობა ტურისტულად აქტიურ უბნებში | ქალაქის ტურისტული პოტენციალის განვითარება |
| 34, | მუსიკალური ფესტივალების მხარდამჭერი ინფრასტრუქტურის (სოვრცის) მოწყობა | ქალაქის ტურისტული პოტენციალის განვითარება |
| 35, | ვიდეო გამოსახულების მიმოცვლის ეკრანების ე.წ. საქალაქთაშორისო პორტალების მოწყობა | ქალაქის ტურისტული პოტენციალის განვითარება |
| 36, | წყალწითელა-მოწამეთა-გელათი-ბერის ციხე ტურისტული მარშრუტებისათვის ბილიკების მოწყობა | ქალაქის ტურისტული პოტენციალის განვითარება |
| 37. | მინიატურული კერძების მუზეუმი იმერეთის დანიშნულების ადგილების მართვის ორგანიზაციის ოფისში | ქალაქის ტურისტული პოტენციალის განვითარება |
| 38. | ბუკიას ქუჩის საგზაო ინფრასრუტქურის რეაბილიტაცია | პროექტი ითვალისწინებს საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობას ბიზნეს აქტივობებით დატვირთულ ლოკაციაზე |
| 39. | ქალაქ ქუთაისის შემოსასვლელებში (4 ლოკაცია) თემატური ინსტალაციების განთავსება | ქალაქის შემოსასვლელების ურბანული განახლება |
| 40. | ქალაქის მასშტაბით საავტომობილო და ქვეითთა მოძრაობის მარეგულირებელი შუქნიშნების განახლება | არსებული შუქნიშნების ნაცვლად, თანამედროვე ადაპტირებული შუქნიშნების მოწყობა |
| 41. | ჯაჭვის ხიდის რეაბილიტაცია | კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის, ჯაჭვის ხიდის რეაბილიტაცია |
| 42. | წითელი ხიდის რეაბილიტაცია | კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის, წითელი ხიდის რეაბილიტაცია |
| 43. | დუმბაძის ქუჩისა და აღმაშენებლის გამზირის კვეთაზე მდებარე სკვერის რეაბილიტაცია | ე.წ. ნინოშვილის სკვერის რეკრეაციული ინფრასტრუქტურის განვითარება |
| 44. | ქალაქის ისტორიული ნაწილის (მეფეთ უბნის) ქვაში მოპირკეთებული ფასადების გაწმენდა-რეაბილიტაცია | პუშკინის ქუჩის ურბანული განახლება (ფასადების რეაბილიტაცია) |
| 45, | ზ.გამსახურდიას გამზირის ფასადების რეაბილიტაცია | ზ.გამსახურდიას გამზირზე მდებარე მრავალსართულიანი სახლების ფასადების რეაბილიტაცია |
| 46, | მინდვრის ხოკეის მოედნის მოწყობა | ქალაქისათვის დამატებითი ტურისტული მიზიდულობის ადგილის შექმნა, საწყალოსნო სახეობებით ტურისტების დაინტერესება |

| | | |
|---|---|---|
| 47. | ახალგაზრდობის გამზირის ფასადების რეაბილიტაცია | მრავალსართულიანი სახლების ფასადების რეაბილიტაცია |

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი იოსებ ხახალეიშვილი